დამატებითი (Minor) პროგრამა-პოლიტიკის მეცნიერება

| | |
|---|---|
| დამატებითი პროგრამის დასახელება | პოლიტიკის მეცნიერება (minor)<br>(Political Science) |
| მისანიჭებელიაკადემიურიხარისხი/ კვალიფიკაცია | - |
| ფაკულტეტის დასახელება | ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი | პროფესორი დავით გეგეჭკორი<br>ასოცირებული პროფესორი თამაზ გოგბერაშვილი |
| პროგრამისხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტებისრაოდენობა) | პროგრამის ხანგრძლივობა - 6 სემესტრი, თითო სემესტრში - 10 კრედიტი;<br>კრედიტების რაოდენობა - 60 ECTS კრედიტი |
| სწავლებისენა | ქართული |
| პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები; | აკრედიტაციის მინიჭების თარიღი: 2011 წლის 17 ოქტომბერი. საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი N 6<br>განახლების თარიღი: 2017 წლის 15 სექტემბერი, #1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები) | |
| აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის (გარდა რეგულირებადი პროგრამებისა) მესამე სემესტრის სტუდენტი. | |
| პროგრამის მიზნები | |
| პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა:<br><br>• ძირითად სპეციალობასთან ერთად სტუდენტს მისცეს ცოდნა პოლიტიკის სტრუქტურული და ფუნქციონალური თავისებურებებისა და პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის შესახებ.<br>• მიიღოს კომპლექსური ცოდნა საქართველოს ევროპული ორიენტაციისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.<br>• შეიძინოს ცოდნა გეოპოლიტიკის, პოლიტიკური იდეოლოგიებისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ, მოახდინოს მისი გაანალიზება და შეფასება.<br>• მოახდინოს საბჭოთა კავშირის დაშლისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური პრობლემების ანალიზი.<br>• შეძლოს საერთაშორისო ტერორიზმისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესახებ არსებული პრობლემების გააზრება და განზოგადება.<br>• პოლიტიკის მეცნიერებაში დაეუფლოს საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მას დამოუკიდებელი ორიენტაციის მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს. | |
| სწავლის შედეგები | |
| ცოდნა და გაცნობიერება | პოლიტიკური მეცნიერებების მაინორ (minor) პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება პოლიტიკის მეცნიერებაში გარკვეული ცოდნა. კერძოდ, კურსდამთავრებული შეძლებს:<br>• პოლიტიკური პროცესების სინთეზირებულად და პრაგმატულად გამოიყენებას საზოგადოების მოდერნიზაციის პირობებში.<br>• გააცნობიეროს პოლიტიკური მოდერნიზაციის ძირითადი პარადიგმები თანამედროვე ქართული საზოგადოების პოლიტიკური სტაბილურობისათვის. |

| | |
|---|---|
| | <ul><li>პოლიტიკური პროცესების ანალიზის საფუძველზე გაკეთოს გარკვეული დასკვნები და ჩამოაყალიბოს გარკვეული რეკომენდაციები და თვალსაზრისი.</li><li>პოლიტიკურ სიტუაციებში მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილებები.</li></ul> |
| უნარები | პოლიტიკის მეცნიერების მაინორ (minor) პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:<ul><li>პოლიტიკური მოვლენების შეფასებას, პრიორიტეტის განსაზღვრას და ინფორმაციის გადამუშავებას;</li><li>დაამყაროს ურთიერთობა პოლიტიკურ სტრუქტურებთან და მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ დისკუსიებში.</li><li>ძირითად სპეციალობასთან სინთეზირებულად შეარჩიოს სწავლის პრიორიტეტები და განსაზღვროს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის ფორმები.</li></ul> |
| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | |

**სწავლების მეთოდები**

- სტუდენტზე და შრომის ბაზარზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისთვის და საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პირის მიერ მაინორ პროგრამის სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის საშუალებად გამოიყენება სწავლება-სწავლის სხვადასხვა ფორმები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა,სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა, პროფესიული პრაქტიკა და სხვა.
- სწავლება - სწავლის მეთოდები მოიცავენ შესაბამის აქტივობებს: დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევის ანალიზი (Case study), წერითი და ვერბალური, წიგნზე მუშაობა, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტებითი და სხვ. მეთოდები; სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდის ან მეთოდთა კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკაზე, დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. პროგრამის კომპონენტების სწავლებისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში, მათი განმარტებები კი განთავსებულია სასწავლებლის ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. atsu.edu.ge

**პროგრამის სტრუქტურა**

პროგრამის მოცულობა-60 ECTS კრედიტი (minor)
მესამე სემესტრიდან ძირითად პროგრამასთან ერთად 10-10 კრედიტი მოცულობით.
სასწავლო გეგმა იხ დანართი 1.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში*(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)*- 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა- 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

***საფუძველი:***საქართველოს განათლებისა დამეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3.
**შენიშვნა:**სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: დამატებითი( minor) პროგრამა - პოლიტიკური მეცნიერებები

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკის მეცნიერებები

| № | კურსის დასახელება | კრ | დატვირთვის მოცულობა, სთ-ში | | | ლ/პ/ლაბ/გ | სემესტრი | | | | | | | | დაშვების წინაპირობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | საკონტაქტო | დამ | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | |
| | | | | აუდიტორული | | | | | | | | | | | |
| 1 | პოლიტიკური აზროვნების ძირითადი ეტაპები | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | x | | | | | | |
| 2 | ოილიტიკური იდეოლოგიები | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | x | | | | | | |
| 3 | ელიტიზმის თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | x | | | | | |
| 4 | გეოპოლიტიკური თეორიები და კონცეფციები | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | x | | | | | |
| 5 | კონფლიქტები და მათი ტიპოლოგია | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | | x | | | | |
| 6 | პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სისტემები | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | | x | | | | |
| 7 | ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორია | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | | | x | | | |
| 8 | სოციალიზმის თეორია და ისტორია | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | | | x | | | |
| 9 | პოლიტიკური იმიჯი და საარჩევნო მარკეტტინგი | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | | | | x | | |
| 10 | სახელმწიფოს მართვა და ადგილობრივი თვითმართველობა | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | | | | x | | |
| 11 | ევროპული ინტეგრაცია | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/0 | | | | | | | | x | |
| 12 | თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემების პოლიტიკური ასპექტები | 5 | 125 | 45 | 77 | 2/1/0/3 | | | | | | | | x | |
| სულ | | 60 | 1500 | 540 | | | | | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | |